ანა-მარია წულაია

ასაკი:15 წლის

სკოლის სახელწოდება: ფოთის ფიზიკა-მათემატიკის სკოლა

კლასი: X კლასი

„წერილი ევროპელ თანატოლს-დამოუკიდებლობიდან თავისუფლებამდე“

მოგესალმები ანნა,

დღეს მე გიამბობ საქართველოს თავგადასავალს დამოუკიდებლობამდე. ევროპელმა ადამიანმა ყველაზე უკეთ იცის რას ნიშნავს იყო დამოუკიდებელი და თავისუფალი მოქალაქე, სწორერ ამიტომ აგარჩიე შენ, რათა განახო თუ რამხელა განსაცდელი გამოვიარეთ ჩვენ იმისთვის, რომ გვქონოდა ის, რაც თქვენ ასე მარტივად გაქვთ.

დამოუკიდებლობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ღირებულებაა თითოეული ერისა და სახელმწიფოსთვის. იგი ნიშნავს ერის თავისუფლებას და შესაძლებლობას თავად განსაზღვროს საკუთარი პოლიტიკური ეკონომიკური და კულტურული გზა.

საქართველომ დამოუკიდებლობისკენ მიმავალი გზა ურთულესი ისტორიული და პოლიტიკური პირობების ფონზე განვლო. დამოუკიდებლობის მოპოვება მრავალწლიანმა ომებმა, ოკუპაციამ და მრავალრიცხოვანმა მსხვერპლმა განაპირობა. დამოუკიდებლობისკენ გზა აქტიურად დაიწყო 1980-იანი წლების ბოლოს, როდესაც საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესები დაიწყო. მას ხელი შეუწყო 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიამ, როცა საბჭოთა არმიამ მშვიდობიანი მიტინგი სასტიკად დაარბია ამან საზოგადოებაში დამოუკიდებლობის იდეა კიდევ უფრო გააღრმავა. საბოლოოდ 1991 წლის 9 აპრილს საქართველომ ოფიციალურად გამოაცხადა დამოუკიდებლობა.

დამოუკიდებლობის მოპოვება ქვეყნისთვის უდიდესი ისტორიული მოვლენა იყო თუმცა მას მოჰყვა სერიოზული პოლიტიკური კრიზისი სამოქალაქო ომი და ეკონომიკის დაცემა ამის გამო ქვეყანა დიდ გასაჭირში ჩავარდა სიღარიბის დონე გაღრმავდა გაიზარდა კრიმინალობა და პოლიტიკური არასტაბილურობა დამოუკიდებლობის შემდგომი მდგომარეობა ეტაპობრივად შეცვალა 2003 წელს მომხდარმა ვარდების რევოლუციამ რამაც სახელმწიფო რეფორმების ახალი საფეხური წამოიწყო. დამოუკიდებლობამ გარკვეულწილად გაათავისუფლა საზოგადოების აზროვნება. დღეს ქართველი ხალხი მეტად აქტიურია ცხოვრებაში თავისუფლად გამოხატავს აზრს და იცავს საკუთარ უფლებებს.

საბოლოოდ საქართველომ დამოუკიდებლობისკენ გრძელი და რთული გზა განვლო მოიპოვა ისტორიული შანსი თავისუფალ და დემოკრატიულ სახელმწიფოდ ჩამოსაყალიბებლად, მიუხედავად მრავალი წინააღმდეგობისა.

პატივისცემით, თქვენი თანატოლი, ანა-მარია წულაია

Name: Ana-Maria

Surname: Tsulaia

Age:15

School Name: Poti School of Physics and Mathematics

Grade: X

Letter to a European Peer – From Independence to Freedom

Hello Anna,

Today I want to tell you about Georgia's journey before it became independent. As a European, you probably understand well what it means to be a free and independent citizen. That's why I chose to share this story with you—to show how much we went through to have what others may take for granted.

Independence is one of the most important values for every nation. It means being free as a country and having the power to decide your own political, economic, and cultural future.

Georgia's path to independence was full of challenges and hardships. It happened during very difficult historical and political times. Our fight for freedom involved many years of war, occupation, and great loss. The movement toward independence grew stronger in the late 1980s, during the collapse of the Soviet Union. A key moment was the tragedy of April 9, 1989, when the Soviet army violently ended a peaceful protest. This event deeply strengthened the desire for independence among the people. Finally, on April 9, 1991, Georgia officially declared its independence.

Although this was a proud and historic moment, it was followed by serious problems. The country soon faced a political crisis, civil war, and economic collapse. Poverty increased, and crime and instability made life very difficult. Things began to change after the Rose Revolution in 2003, which started a new phase of reforms. Independence also allowed people to think more freely. Today, Georgians are active in society, express their opinions, and defend their rights.

In the end, Georgia followed a long and hard road to independence. But despite many obstacles, it gained the chance to build a free and democratic future.

Best regards,

Ana-Maria Tsulaia